ცნობის ფურცელი

№ 1990 ოთხშაბათი, 20 ნოემბერი **1896—1902** ყოველ-დღიური გამოცემა **№ 1990**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე“ (წელიწადი მეათე)		ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ორის სურათებიანის დამატებით (წელიწადი მერვე)	
ფასი ჟურნალისა:		ფასი გაზეთისა გაგზავნით:	
კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:	კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით . . 10 მ.	1 წლით . . 13 მ.	1 წლით. . . 6 მ.	1 წლით. . . 9 მ.
6 თვით . . . 6 „	6 თვით . . . 7 „	6 თვით. . . 4 „	6 თვით . . . 5 „
3 „ . . . 3 „	3 „ . . . 5 „	1 „ . . . 75 კ.	1 „ . . . 90 კ.

ვინც „**მოამბეს**“ მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და „**ცნობის ფურცელი**“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ-გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერასთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:

პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე —5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლებად ეღირება.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

ნიკოლოზ ყვანია გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის საყვარელის ძმის

მაქსიმე ხარიტონის ძის ყვანიას

გარდაცვალებას და სთხოვს მათ დაესწრონ განსვენებულის წესის აგებას წმ. ნინოს ეკკლესიაში და დასაფლავებას. გარდაცვალებულს მიხეილის სამკურნალოდან გაასვენებენ წმ. ნინოს ეკკლესიაზე და დაკრძალავენ დღეს, 20 ნოემბერს, დილის 10 საათზე. (1—1)

ტფილისის კრუჟოკი

ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს

მფარველობის ქვეშ მყოფის ზემო-ავჭალის სამწათ-მოქმედო და სახელოსნო მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიის თანხების გასაძლიერებლად

22 ნოემბერს 1902 წ.

გამართული იქნება

ბ ა ლ ი

საკონცერტო და სალიტერატურო განყოფილებებით.

მონაწილეობას მიიღებენ ბევრი გამოჩენილი არტისტი და მოყვარულნი: ქალნი-მომღერალნი, მომღერალნი, წამკითხველნი და მემუსიკენი.

„კრუჟოკ“-ის დარბაზები მორთული იქმნება. ანტრაქტებში კოლონიის მოსწავლეთაგან შედგენილი მემუსიკეთა დასი დაუკრავს. დაწვრილებითი ცნობები აფიშებში იქნება გამოცხადებული.

შესავალი ფასი 2 მან. 10 კ.

ყოველ პრემიას დიდი მადლობით მიიღებენ.

კონცერტი დაიწყება საღამოს 8 საათზე, ბალი—10 საათს.

დიასახლისი ბალისა, სატუსაღო ქალთა-კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ზვერინისა.**

ბილეთები იყიდება: საზოგადოების წევრებთან: ა. ს. ფრენკელთან (გრიბოედოვსკაია, 33), ა. პ. მირონოვიჩთან და ა. ა. მაქსიმოვიჩთან (სამოსამართლო პალატა), ლ. ბ. ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ლოტის საკანდიტეროში (დვორცოვი ქუჩა) და „ტფილისის კრუჟოკში“. (3—მ.—2)

ქბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

წარმოდგენა 16. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, 1902 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა

(დაჯილდოვებული პრემიით პეტერბურგის სალიტერატურო საზოგადოების მიერ)

I

მზეს მოკლებულნი

დრამა 4 მოქმ. პავ. პ. ვეინბერგისა, თარგმ, დ. აწყურელისა.

II

დამბაჩა და რევოლვერი

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, როსტომაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, რკინელი, ელენტი და სხვ.

ადგილების ფასები: ლოჟები 5 მ-დან 10 მანეთამდე, პარტერი 70 კ-დან 3 მანეთამდე, ამფითეატრი 80 კ-დან 1 მ. 50 კ-მდე, გალერეა 25 კ-დან 45 კ-მდე. შეგირდებისათვის ადგილები 50 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „**გოვერდის მკვლელობა**“. (კ. მესხის ბენეფისი), „**გრიგალი**“, „**სიძე-სიმამრი**“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურნალო გიმნასტიკა“ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკონსულოსა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 374. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

კიდევ ბათუმის საქალაქო არჩევნების გამო

ბათუმის საქალაქო არჩევნები ისე არ გათავდა, როგორც ჩვენ მოველოდით და როგორც მოსალოდნელიც იყო. უწინდელ საბჭოს უმრავლესობის, ესე იგი, ქართველების წინაალმდეგ შეერთდნენ დანარჩენ ერთა ამომრჩეველნი და დაამარცხეს ხსენებული უმრავლესობა. ეს კიდევ ცოტაა: ამავე უმრავლესობას გადადუდგა ქართველობის ნაწილიც და ზურგი გაუმაგრა ოპოზიციას...

რა ჯურისა იყო ეს ოპოზიცია? რამ შეაერთა მოწინაალმდეგე ელემენტები? რომ ოპოზიცია საქმიანი ყოფილიყო, რომ შეერთებულიყვნენ თვითმმართველობის მტკიცე და ერთგული დამცველნი და იერიში მიეტანათ უვარგისს ელემენტზე, მაშინ რაღა გვეთქმოდა და მწუხარების გამოცხადებას რაღა ადგილი ექმნებოდა?! მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ შეერთებულ ელემენტთა პლატფორმა არც თვითმმართველობის დაცვა, არც საქმიანობა არა ყოფილა: ოპოზიციას ასულდგმულებდა მხოლოდ შოვინიზმი, მხოლოდ ქართველობის დამარცხების წადილი.

ბ. პალმის გაშმაგებულს ბრძოლას ბათუმის თვითმმართველობასთან უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ყოველ დღე განხეთქილებისა და სიძულვილის ქადაგებას მსმენელნი გასჩენიან, რომელნიც საარჩევანო ველზე წინადვე განზრახულის დევიზით მოვიდნენ: უთუოდ გააშავონ ქართველები, თუმცა ამათ არა-თუ არაფერი დაუშავებიათ ქალაქისა და ყველა მცხოვრებთა ინტერესებისათვის, არამედ პირნათლად ემსახურებოდნენ საქმეს.

მაგრამ პალმისა და მის მომხრეთა შესახებ რა გვეთქმის? ისინი უთუოდ ასე უნდა მოქცეულიყვნენ, რადგან ვიწრო და მავნებელი პოლიტიკანობა, ერთა შორის მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდება, თვითმმართველობის პრინციპის და საქმის მასხარად აგდება—ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. სავალალო ის არის, რომ ქართველობის წინაალმდეგ სომხობაც და სხვებიც ამხედრდნენ და უალაგო-ალაგას შოვინიზმის დროშა აღმართეს.

ჩვენს გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ქალაქის თვითმართველობაში ქართველთა და სომეხთ შეერთებულად მოქმედება შეუძლიათ; ამასვე ცდილან, როგორც სჩანს ჩვენის კორესპონდენტის სიტყვებიდან (იხ. „ცნ. ფურც.“ № 1986), ბათუმელი ქართველი ამომრჩეველნიც, მაგრამ ამაოდ: სომხების მეთაურნი გაუტაცნია უადგილო და უაზრო შოვინიზმს და იმდენად დაუბრმავებია, რომ ლალატიც-კი უკადრიათ. ასეთი საქციელი მით უფრო დასაგმობია და გასაკიცხავი, რომ ქართველ ხმოსანთ ამ რვა წლის განმავლობაში თვითმართველობის საქმე რიგიანად შეუსრულებიათ, ხოლო მათ წინაალმდეგ საბრძოლველად გამოვიდნენ პალმები, რომელთათვის თვითმართველობა და ნამეტურ ჩვენებური თვითმართველობა მხოლოდ ცარიელი სიტყვაა. აი, ასეთს ვაჟბატონებს გაუწიეს სამსახური სომეხ ამომრჩევლების ბელადებმა! რომ ასეთი ტაქტიკა მავნებელია საზოგადო ინტერესებისათვის და თვით სომხებისათვისაც, ამას მალე გაიგებენ, თუ დღეს არა აქვთ შეგნებული.

ქართველების იმ ნაწილზე, რომელნიც „ოპოზიციას“ მიემხრნენ, ჩვენი კორესპონდენტი იწერება: „თვით ქართველობაში საკმაოდ გამოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც იმედს მიეცნენ—განდგომითა და ჩვენიანების ღალატით სასურველს ვეღირსებითო და დიდებას მოვიპოვებთო.“ თუ მართლა ასეთი იყო მათი განდგომის მოტივი, თუ კერძო, თავის სურვილების აღსასრულებლად, საზოგადო საქმეს უღალატეს, მათის უკულმართობის გამართლება ყოვლად შეუძლებელია და მათი საქციელი მეტის-მეტად სამარცხვინოა! ერთად-ერთი სანუგეშო ის არის, რომ „განდგომილები“ მოსტყუვდნენ და დამარცხდნენ. კარგი გაკვეთილია, თუ დაიმახსოვრებენ!..

ამ რიგად მოქმედებდნენ ბათუმის ამომრჩეველნი გასულ კვირას და, როგორც ვიცით, წააგეს. წააგო არა მარტო წინანდელ საბჭოს უმრავლესობამ, არამედ სომხებმაც, ბერძნებმაც, განდგომილ ქართველებმაც. ეს მეტად საგულისხმო გაკვეთილია და სამწუხარო იქნება, თუ მომავალ დამატებით არჩევნებზე საქმე არ გასწორდა. ქართველებს მხნეობა, ენერგია და ერთსულობა სჭირიათ, რათა თავისი სასარგებლო გავლენა არ დაჰკარგონ ბათუმის საქალაქო საქმეებზე. „ჩერნომ. ვესტნიკ“-ს ძალიან ეშინია ამ ერთსულობის და ჰლამობს ხელი შეუშალოს ქართველებს; ბ. პალმმა თავისი დამა-

რცხებაც-კი დაივიწყა და ამტკიცებს—ერთხელ გაშავებულთ აღარ აქვთ ნება მეორედ იყარონ კენჭი, ამის შესახებ სენატის განმარტებაც არისო; მაგრამ რომელია ეს განმარტება, სად მოსძებნა, არ ამბობს. საქალაქო დებულებაში ამის შესახებ არა არის-რა და ბევრგან მომხდარა, რომ გაშავებულთ დამატებით არჩევნებზე უყრიათ კენჭი...

ვისურვოთ, რომ დამატებითი არჩევნები მეტის შეგნებულობითა და საზოგადო ინტერესის მიხედვით გათავებულიყოს.

საზღვარ-გარედ

გერმანია. მილიონერ კრუპის მოულოდნელმა სიკვდილმა მთელი ალიაქოთი და აურ-ზაური ასტეხა გერმანიაში. დღემდე გერმანიის სალაპარაკოდ კრუპის სიკვდილი გამხდარა. დასაფლავებას, როგორც ვუწყით, გერმანიის იმპერატორიც დაესწრო. ამის გამო სოციალისტთა გაზეთი „ფორვერტს“-ი ამბობს, რომ ასეთ პატივს (იმპერატორის დასწრებას) დიდებული და სულით ძლიერი ვირხოვიც-კი ვერ ეღირსაო. დაუსრულებელ ლაპარაკის მიზეზი კრუპის მოულოდნელი სიკვდილია. ზოგნი დაბეჯითებით ამბობენ, რომ კრუპმა თავი მოიკლა იმ ბრალდების გამო, რომელსაც სდებდა ზოგიერთი იტალიანური და სოციალისტთა ზემოხსენებული გაზეთიო. კონსერვატორები და გარდაცვალებულის მეგობარ-მახლობელნი ხომ პირდაპირ ამბობენ, რომ „ფორვერტსმა“ მოჰკლა კრუპიო. ეს ისტორია მეტად საინტერესოა. ერთმა იტალიანურმა გაზეთმა გამოაქვეყნა, რომ კრუპი მეტად გარყვნილი და გაფუჭებული კაცია; კუნძულ კაპრიზე (იტალიაშია) მთელი სასახლე აქვს, სადაც საზიზღარ გარყვნილებას ეძლევაო. ეს ამბავი დაიხვია ხელზე სოციალისტთა გაზეთმა და მოსვენება აღარ მისცა მილიონერს. ბოლოს კრუპმა სასამართლოს მიჰმართა, მაგრამ გაზეთი ამასაც სიხარულით მიეგება. იმან საჯაროდ გამოაცხადა, ისეთი საბუთები მაქვს ხელთ, რომ მთელ ქვეყანას დავუმტკიცებ კრუპის სიბინძურეს და გარყვნილებასაო. სამის დღის შემდეგ კრუპი წუთი-სოფელს გამოესალმა...

ეხლა მეგობარნი და თანამგრძნობელნი ჰკიცხავენ სოციალისტთა გაზეთს, მაგრე სასტიკად არ უნდა მოჰქცეოდით განსვენებულსო: კრუპი შეიძლება ავადმყოფი კაცი იყო, ხოლო ავადმყოფს მკურნალობა უნდა და არა გაკიცხვაო. გაზეთი სამართლიანად უგებს, ასეთ სიტყვებს რატომ მაშინ არ ამბობდით, როდესაც ღარიბი კაცი ჩაიდენს კრუპისთანა ულირს საქციელსაო. და მართლაც ბევრი სიკვდილითაც დაუსჯიათ. ასეა თუ ისე, საქმე ჯერ გამორკვეული არ არის და დაბეჯითებით არავინ იცის, ნამდვილია თუ არა ბრალდება. ყველა მოუთმენლად მოელის სასამართლოს მსჯავს, რადგანაც ეს საქმე კრუპის სიკვდილით არ გაჩერდება.

კრუპი თავის ქარხნებითა და სიმდიდრით მთელ დედამიწაზეა ცნობილი. საფრანგეთს გარდა თითქმის ყველა სახელმწიფოს კრუპი უმზადებდა ზარბაზნებს, საფრანგეთს-კი „პატრიოტობით“ არ აწვდიდა იარაღს. კრუპთან 43,000 მუშა მუშაობდა; 12 დირექტორი განაგებდა იმის ქარხნებს; საკუთარი რკინის გზები და ტელეფონები ჰქონდა. წმინდა წლიური შემოსავალი კრუპისა 15 მილიონ მანეთს აღემატებოდა, ერთის სიტყვით, ეს კაცი უმდიდრესი კაპიტალისტი იყო.

როგორც ქველ-მოქმედს, კრუპს სახელი ჰქონდა გავარდნილი. მუშებისათვის დიდ ფულსა ჰხარჯავდა. გამართა მუშათათვის სახლები, საუცხოვო საავადმყოფოები, ბაღები, დაასრსა სკოლები, საპროფესიონალო სასწავლებლები,—ყველა ამას 12 მილიონი მანეთი მოანდომა. მაგრამ ყველა ამისდა მიუხედავად კრუპი მუშებს არ უყვარდათ, ხოლო არ უყვარდათ იმიტომ, რომ თავით ფეხამდე იგი ფეოდალი იყო, ფეოდალურის აზრის-შეხედულებით გამსჭვალული. იგი მუშას თითქმის კაცად არა სცნობდა, მცირე წინააღმდეგობასაც ვერ ითმენდა იმისაგან და თხოულობდა, რომ ყველანი ყურ-მოჭრილი და მომთმენი მონები ყოფილიყვნენ. მუშები ამბობდნენ და დღესაც ამბობენ, ჩვენ ფილანტროპია და მოწყალება როდი გვინდა, ჩვენ გვინდა უფლებანი, გვინდა ყველა კაცად და ადამიანად გვცნობდეს, ყველასთან თანასწორნი ვიყვნეთო. მუშებმა აინუნშიაც არ ჩააგდეს კრუპის შეწირულებანი (სხვათა შორის მუშათა საპენსიო კასსა 9 მილიონს შეიცავს, მთლად კრუპის მიერ შეწირულს) და უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნების დროს კრუპი გააშავეს. იმათ მხარი დაუჭირეს კრუპის მოწინააღმდეგეს კათოლიკ-დემოკრატს.

აი, ასეთი იყო კრუპი, რომლის სიკვდილმაც ამდენი მითქმა-მოთქმა ასტეხა. რაღა თქმა უნდა, იმპერატორნი და ამა ქვეყნის სხვა ძლიერნი, საუკეთესო მეგობრები იყვნენ კრუპისა. იმპერატორი არა ერთხელ და ორჯელ სწვევია კრუპს და დაულევია იმისი სადღეგრძელო. ეხლაც, დასაფლავების შემდეგ, ცხარე სიტყვით მიჰმართა კრუპის მუშებს და შეაქო განსვენებულის „ღვაწლი“. მოჰკლეს ღირსეული და პატრიოტი კაციო, სთქვა სხვათა შორის იმპერატორმა; ამისი მკვლელნი ღირსნი არ არიან გერმანელის სახელის ტარებისა. თქვენ ყოველი კავშირი უნდა მოსპოთ იმ ვაჟბატონებთან, რომელნიც გაზეთებითა და სხვა ხრიკებით ასეთ ულირს საქმეებს სჩადიანო.

ავსტრო-უნგრეთი. როგორც ვუწყით, მთავრობამ ავსტრიაში ჯარის გამრავლება განიზრახა. ამის გამო სოციალისტებმა დიდი მიტინგები გაჰმართეს და ყველგან პროტესტი გამოაცხადეს. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო კრაკოვში გამართულ მიტინგს. პირველმა ორატორმა, დეპუტატმა დაშინსკიმ სთქვა, რომ მთელი ჩვენი ავლა-დიდება და ქონება ჯარს უნდებაო. უკანასკნელ 15 წელიწადს მარტო ავსტრიამ (უნგრეთით) 1,200 მილიონი კრონი მოანდომა. თვითეულ მცხოვრებზე 833 კრონი მოდის. ამას გარდა სათადარიგო ჯარსა და ჟანდარმებს 11 წლის განმავლობაში მოუნდა 521 მილიონი. „ამ რიგად, სთქვა ორატორმა, ამ ბოლოს დროს, ეგრედ წოდებულ „შეიარაღებულ მშვიდობიანობის“ დროს, ავსტრიამ $3^1/_2$ მილიარდი მოახმარა სამხედრო საქმეს. აი ასეა საქმე და მთავრობა კიდევა სცდილობს ჯარის გადიდებას. თუ მთავრობას ჩუმ-ჩუმად და ნელნელა უნდა თავის გეგმის განხორციელება, ჩვენ ვალდებულნი ვართ ხმა-მაღლა პროტესტი განვაცხადოთ. მილიტარიზმი ჰხუთავს სიცოცხლეს, წინ ეღობება საზოგადოებრივ განვითარებას, ამიტომ სამხედრო კანონ-პროექტის წინააღმდეგ ყველამ უნდა აღამაღლოს ხმა; ყველამ უნდა დაიკეროს პირზე: „არც ერთი მეტი გროში, არც ერთი მეტი ჯარისკაცი“. ასევე ილაპარაკა მეორე ორატორმა ჩაკიმ. მიტინგმა დაადგინა წინააღმდეგობა გაუწიოს ახალ კანონ-პროექტს. ასეთივე მიტინგები მოახდინეს სოციალ-დემოკრატებმა ლვოვსა და სხვა ქალაქებში.

საფრანგეთი. ვერ იქმნა, ვერაფრით მიაგნეს ემბერების კვალს. საიდუმლო პოლიციის აგენტები ყოველგან დაძრწიან, მაგრამ ემბერებს ვერც ასავალი გაუგეს, ვერც დასავალი. ეხლა მთავრობას გაუგია, რომ მეუღლენი ან ბარსელონასა ან გენუაში უნდა იყვნენო. მარსელის პოლიციისთვის უბრძანებია, თვალ-ყური ადევნოს მარსელსა, გენუასა და ბარსელონას შორის მოსიარულე გემებს.

◆ ტურში, ერთ რესტორანში დიდი შეტაკება მოსვლიათ აფიცრებსა და რესტორანში მყოფ სხვა საზოგადოებას. რესტორანის სცენაზე ერთ მომღერალს ლექსი უთქვამს. აფიცრებს ამ ლექსის შინაარსი თავიანთ „მუნდირის“ შეურაცხყოფად მიუღიათ. ხელად წასულან, პიჯაკ-სერთუკები ჩაუცვამთ, დაბრუნებულან და სტვენა დაუწყიათ მომღერალისთვის. დანარჩენი საზოგადოება-კი, რომელიც თითქმის მუშებისაგან შესდგებოდა, ტაშის ცემას შესდგომია. ბოლოს საქმე მუშტი-კრივზე გადავიდა, აფიცრებს რევოლვერების სროლაც დაუწყიათ. ბრბოს უნდოდა სასტიკად მოჰქცეოდა თურმე მსროლელებს, მაგრამ მალე პოლიცია მოვიდა და მოჩხუბარნი გააშველა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 19 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა **გუბერნატორს დასამტკიცებლად** საბჭოს 18 ნოემბრის დადგენილება თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

◆ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში ქალაქის საბჭოს წარმომადგენლად **ახლად არჩეულის თავ. ვ. ხ. მიქელაძისათვის** ქალაქის მოურავის მოადგილეს მოუთხოვია ნამსახურობის ქაღალდები გუბერნატორთან წარსადგენად.

◆ აქამდის ტფილისის ქალაქის საბჭოში სასულიერო წოდების მხრივ დეპუტატად დანიშნული იყო დიდუბის ეკკლესიის მღვდელი მ. ცინცაძე. საქართველოს ეგზარხოსს ამ თანამდებობაზე დაუნიშნავს ეხლა სამრევლო სკოლების მეთვალყურე **ი. ვოსტორგოვი.**

◆ საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით, **სასულიერო წოდების წარმომადგენლად** მთავარ-მართებლის საბჭოში დაინიშნა დეკანოზი იოანნე ვოსტორგოვი, რომელიც მხოლოდ საერობო ხარჯების განხილვას უნდა დაესწროს იმ დროს, როცა ამ ხარჯებიდან საეკკლესიო-სამრევლო სკოლების დასაარსებლად თუ შესანახად ფული უნდა გადაიდოს.

◆ დღეს ოთხშაბათს **კრების გაგრძელება დანიშნული ქალაქის საბჭოში**. განსახილველი აქვს საბჭოს 25 საქმე.

◆ ჩვენის ქვეყნისათვის ერთს ფრიად საყურადღებო ამბავს ატყობინებენ სოხუმიდან გაზ. „რუსკია ვედომოსტი“-ს, თუ მართალი გამოდგა ეს ხმა. კორესპონდენტი სწერს: **ტყვარჩელში ქვა-ნახშირის** მადნების დასამუშავებლად ბ-ნ ბუტმის, რომელსაც ამ ადგილებში განცხადებული აქვს რამდენისამე მადნის პოვნა, ინგლისელი ფულიანი კაცები შეუთანხმებია. ეს ფულიანი კაცები ბ-ნ ბუტმისა და ამხანაგებს აძლევენ ორ ნახევარ მილიონ მანეთს ნაღდ ფულადა და ექვს მილიონს—აქციებით. ინგლისელებს მოუწონებიათ პროფესორის ჰალოვეის მოხსენება და ოჩამჩირეში მოელოდებიან კიდეც ინგლისელ ინჟინერებს ამ საქმის საწარმოო ხარჯების ადგილობრივ გამოსაკვლევადო.

◆ ქალაქის **მეშჩანთა საქმეების გასაწესრიგებლად** ცალკე კომისიაა მეშჩანთაგან არჩეული. ამ კომისიას შეუნიშნავს, რომ ბევრი მთხოვნელი მოდის მეშჩანთა გამგეობაში ისეთი, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან და საჭირო ქაღალდებს სხვებს აწერინებენ. ხშირად უბრალო ქაღალდის დასაწერად დიდ ფულსაც იხდიან თურმე ასეთი მთხოვნელები. ამის მოსასპობად შემდეგი წესები შემოუღიათ ეხლა: ა) ცალკე კაცი დაუქირავებიათ კერძო მთხოვნელთათვის ქაღალდების საწერად; ბ) ამ ქაღალდების შესადგენად და დასაწერად დაუნიშნავთ შემდეგი ფასები: უბრალო თხოვნისა—ექვსი შაური, უფრო ვრცელისა—ათი შაური; გ) ამ კაცს თვალ-ყური უნდა ადევნოს მეშჩანთა მამასახლისმა; დ) პასპორტების მისაღებ თხოვნებისათვის ბლანკები დაიბეჭდება და მუქთად დაურიგდებათ მთხოვნელებს.

◆ განსვენებულ ი. ს. ამიროვის ანდერძით ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში **ქართველ შეუძლებელ მოსწავლეთათვის** დაარსებულია ერთი სტიპენდია. ამ სტიპენდიის დასანიშნავად გუშინ გიმნაზიის მთავრობამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას სია კანდიდატებისა. კანდიდატებად დასახელებულნი არიან: ილ. იოსავა, კობიაშვილი, ვლად. ძიმისტარაშვილი, ნიკოლოოზ ხრამელაშვილი და ილია ნატროშვილი. ქალაქის გამგეობა ამ დღეებში უყრის კენჭს კანდიდატებს სტიპენდიის დასანიშნავად.

◆ პეტერბურგში გადაცვლილა მიწათ-მოქმედების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ი. ი. ტიხეევი. განსვენებულს კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. მოისპო თუ არა ნამესტნიკობა კავკასიაში, ტიხეევი 1881 წელს ჩამოვიდა აქ, რომ სახელმწიფო მამულების სამინისტროში გადასვლის საქმე მოეწესრიგებინა. თითქმის განსვენებულის მეცადინეობით, 5 ივნისს 1883 წელს ახალი თანამდებობა დაწესდა—მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისა კავკასიაში და ეს ადგილიც თვითონ განსვენებულმა დაიჭირა. სწორედ ამ დროდან იწყება იმის მოღვაწეობა, რომელმაც შესამჩნევი კვალი დასდო ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო ცხოვრებას. პირველ ხანებშივე იმას მიაქცია ყურადღება, რომ ხაზინასა და გლეხებს შორის დამოკიდებულება გაწესრიგებულიყო, მაგრამ ამის შესრულებისათვის ჯერ საჭიროდ სცნო ვლეხთა ეკონომიური მდგომარეობა შეეტყო. განსვენებულმა მკვლევართა რამდენიმე დასი შეადგინა და კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეების შესწავლა და მცხოვრებთა მდგომარეობის გამოკვლევა დაავალა. ამ შრომამ დიდი ნაყოფი მოიტანა, რადგან მკვლევარად ახალგაზდა ნასწავლი და ხალხის ზნე-ჩვეულების მცოდნე კაცები მოიწვია. ეს კვლევა-ძიება წერილობანი განსვენებულისავე განკარგულებით დაიბეჭდა და საუკეთესო მასალად ითვლება ჩვენი ხალხის იმ დროინდელ ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობლად.

დიდი ყურადღება მიაქცია ივ. ივ. ძემ საძოვარ ადგილებით სარგებლობას. საქონლის მოშენებას ჩვენის ქვეყნის მეურნეობაში მცირე ადგილი არ უჭირავს და სწორედ ამ საქმის გასაწესრიგებლად განსვენებულის მეცადინეობით გამოიცა 24 ივნისს 1884 წელს კანონი, რომლის ძალით გლეხებს უფრო ადვილათ შეეძლოთ საძოვარ ადგილების აღება დესეტინობით ფას-გადახდით, მანამდე-კი საძოვრები ვაჭრობით იძლეოდა ყველგან მოიჯარადრეებზე.

სხვა მხრივაც დიდი ღვაწლი დასდო განსვენებულმა ჩვენი ქვეყნის მეურნეობას: განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ დროს ფილოქსერის მძვინვარებას ჩვენში, შეადგინა საფილოქსერო კომიტეტი და აქ მოსამსახურეთა რიცხვიც ამრავლა; აგრონომებს დაავალა, ხალხში სამეურნეო ცოდნა გაავრცელეთ და ამით დაეხმარეთო; პირველად შემოიღო ინტენსიური კულტურა სხვა-და-სხვა მცენარეთა, მაგალ., თამბაქოსი და სხვა. სახელმწიფო მამულებისა და ტყეების მოვლა-სარგებლობას ხომ, რა თქმა უნდა, კიდევ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია და ამ მხრით დიდად წინ წასწია საქმე იმით, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებში მოსამსახურეთა რიცხვი ამრავლა. თუ ტყეების მფლობელობა-სარგებლობის საქმე ჯერ კიდევ საბოლოოდ გაწესრიგებული არ არის, ამის მიზეზი ის არის, რომ გამორკვეული არაა თვით მფლობელობა, ბევრი სადავოდაა აქამომდე—იმედია დიდ ხანსაც დარჩება ამ მდგომარეობაში—ხაზინასა და კერძო მესაკუთრეთა შორის და არ ეღირსა საქმეს ბოლო.

1890 წ. ივ. იკ. ძე პეტერბურგს გადაიყვანეს, სადაც სამინისტროში მუშაობდა; 1892 წ. დეპარტამენტის დირექტორად დაინიშნა და სიკვდილამდე ამ თანამდებობაში იყო. განსვენებულის გადაცვალების ამბავი ბევრს შეაწუხებს, რადგან იმის მიუდგომლობა, გულ-კეთილობა და სამართლიანობა ყველას კარგად ახსოვს. ყველას კარგად ახსოვს ისიც, რომ ივ. ივ. ძე არ არჩევდა კაცს ხალხოსნობით—იმას მხოლოდ უნდოდა მუშა-კაცი, შრომის მოყვარული. ამიტომაც ნაყოფიერი იყო ჩვენში განსვენებულის მოღვაწეობა...

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენისამე თვის წინად ტფილისის სადგურის მახლობლად ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა **დაჭრეს და გაძარცვეს არტელშჩიკი ზაშკოვი**. შაშკოვს 8 ათას მანეთზე მეტი წაართვეს. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიუციათ სენაკის მაზრის მცხოვრებნი ცაგუ და ვლადიმერ წოწორიები, ალექსანდრე ხაჟომია, პელაგია შომახია, ილია კიზირია, ოსანდე ხაჟომია და გიორგი გალდავა; პირველნი სამნი პასუხის გებაში არიან მიცემულნი როგორც არტელშჩიკის თავს დამცემნი და გამძარცველნი, ხოლო დანარჩენნი—როგორც ბოროტ-მოქმედების დამფარველნი. ეს საქმე გასარჩევად გადაეცემა ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რადგანაც 42 მოწმიდან 40 მოწმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებია. ამ საქმეს სასამართლო ახლო ხომალდში განიხილავს.

◆ ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია **თელავის ქალაქის მმართველობის დადგენილება** მოსიარულე ავადმყოფთათვის საავადმყოფოს დაარსების შესახებ.

◆ გუშინ-ღამ, 11 საათზე, რიყეზე მდგომ მეეზოვეებს მდინარე **მტკვრიდან ყვირილი ჰსმენიათ**—„მიშველეთო“. იქვე სადგურია „წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ საზოგადოებისა“, იქ მიცვივნულან მეეზოვები და სადგურის გამგე ბარცოვისათვის შემწეობა უთხოვიათ, მაგრამ ბარცოვს ამაზე უარი უთქვამს. პოლიციას ოქმი შეუდგენია და იკვლევს ამ საქმეს, მაგრამ ვინ ჰყვიროდა ან რისთვის—ეს საიდუმლოდ დარჩა ჯერ-ჯერობით.

◆ ახალციხის ქალაქის სამმართველოს უთხოვნია გუბერნატორისათვის, ნება მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეცით **ახალციხეში წიგნთ-საცავ-სამკითხველო** გავხსნათ ერთ-ერთ რწმუნებულის პასუხის-გების ქვეშო.

◆ ახალციხიდან დეპეშით გვატყობინებენ, რომ სოფ. უდეში გარდაიცვალა იქაურ ეკკლესიის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **იაკობ პავლეს ძე მერაბოვი**. განსვენებული ადგილობრივ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგებლადაც იყო.

◆ ზეგ, 22 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო **პალატის სესია** სენატორის ვრასკის თავმჯდომარეობით ყარსში მიდის სხვადასხვა საქმეების განსახილველად.

◆ დღეისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სომხურ **გაზეთის „ნორდარ“-ის რედაქტორის** სპანდარიანისა, რომელსაც ტფილისის ნავთის მწარმოებელ საზოგადოების წარმომადგენელი არზუმანოვი ბეჭდვითი სიტყვით ცილის დაწამებას აბრალებს.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის უფროსი** ინჟინერი ივანოვსკი გუშინ, 19 ნოემბერს, უკვე დაბრუნდა ასხაბადიდან და შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

◆ ახალ-ხმოსნებთაგან დაუფიცებელი დარჩა კვირას კიდევ შვიდი კაცი; ამათგან ხუთი გუშინწინ დაიფიცეს, ორიც ქალაქს გარედ არიან კიდევ.

◆ დიდ-ხევის პირად მცხოვრები, სახლის პატრონი ვინმე პოროვარევი ქალაქს უჩიოდა, ხევი ზარალს მაძლევს ეს ოცი წელიწადია და ქალაქი არავითარ საშუალებას არ ჰხმარობს ამის ასაცდენადაო. პოროვარევს ოლქის სასამართლოსათვის მიუმართავს და 4.974 მანეთსა და 41 კაპ. ედავებოდა ქალაქს. სასამართლომ ამ დღეებში გაარჩია ეს საქმე და პოროვარევს უარი უთხრა საჩივარზე და პირ-იქით დაადვა ამ საქმის საწარმოებელ ხარჯებად 294 მან. და 30 კაპ. გადახდა ქალაქის სასარგებლოდ.

◆ კასპიდან გვატყობინებენ: 18 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, სადგურ ნავთლუხის დარაჯმა, გორის მაზრის მცხოვრებმა გლახა შაქარაშვილმა მოისურვა საქონლის მატარებლიდან ჩამოსვლა. ამ დროს ახალუხი ვაგონის თვალს მოედო და შაქარაშვილის ფეხი თვალ ქვეშ მოჰყვა. თვალმა ქუსლი დაუჩეჩქვა. დაშავებული რკინის გზის ტფილისის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 18 ნოემბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში სპარსეთის ქვეშევრდომებს ალაპკერ-გამბარ-ოღლის და ისაი-ჰუსეინ-ოღლის რაღაც მიზეზისა გამო ხელები შეუკრავთ ჟუკოვისთვის და ისე გადაუგდიათ მტკვარში. ეს ამბავი მალე შეუტყვიათ მეეზოვეებს პრილიპკოსა და ალბრეხტს, რომელნიც მიშველებიან და ჟუკოვი დახრჩობისაგან გადაურჩენიათ.

◆ ძირულის სადგურის მახლობლად, როგორც გვატყობინებენ, 18 ნოემბერს მატარებელი № 135 წამოეწია ლიანდაგზე მიმავალს გლეხს ნიკოლოზ სამხარაძეს. მატარებელმა სამხარაძეს ფეხი დაუშავა. დაშავებული ყვირილაში გაჰგზავნეს.

◆ ყარსიდან გვატყობინებენ: 15 ნოემბერს, როდესაც მატარებელი № 71 ყარსის სადგურს უახლოვდებოდა, 10 წლის ბავშმა, იოსებ მერკერმა მოიწადინა ზედ ასვლა, მაგრამ ფეხი დაუსხლტა და ვაგონს ქვეშ ჩავარდა. ვაგონმა ორი ფეხი მოსჭრა მუხლს ზემოდ. ამას გარდა მოსჭრა სამი თითი მარჯვენა და ორი მარცხენა ხელისა. დაშავებული ყარსის სამხედრო საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ მარგანეცის მრეწველთა მომავალ (მეხუთე) კრებისათვის მთავრობას შემდეგი პროგრამა დაუმტკიცებია: 1. კრების მდივნის არჩევანი; 2. განხილვა ანგარიშებისა: კრების საბჭოსი, სარევიზიო კომისიისა შესახებ კრების შესავალ-გასავლის შემოწმებისა და ვაგონების განაწილების კომიტეტისა; 3. განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვისა; 4. მოხსენება შესახებ იმისა, რომ ჭიათურას დაერქვას „პოსადი“ და შემოღებულ იქმნას იქ თვითმმართველობა; 5. შეძენა ადგილებისა კრების შენობათა ასაგებად; 6. ჭიათურაში მომრიგებელ სასამართლოს დაარსება; 7. შავ-ქვაზე გარდასახადის რაოდენობის დადგენის გადაწყვეტა; 8. შავი-ქვის მწარმოებელთა კრების დებულების ზოგიერთ პარაგრაფების შეცვლა; 9. ჭიათურაში ხაზინის დაარსება; 10. გამართვა საქიმიო ლაბორატორიისა; 11. შავი-ქვის გასარეცხად ქარხნის გამართვა; 12. დაბალ და მაღალ სამთამადნო სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსება; 13. ჭიათურის მადნების საგეოლოგიო რუქის შედგენა; 14. ჭიათურის რკინის გზაზე ტარიფის შემცირების შესახებ; 15. მოხსენება კომისიისა, რომელიც მესამე კრებამ აირჩია და რომელსაც დაევალა შეადგინოს ეს მოხსენება შესახებ სამთამადნო დაბალ სასწავლებლის დაარსებისა ქუთაისის გუბერნიაში და აგრეთვე შტეიგერების ინსტიტუტის დაარსებისა; 16. გაწესრიგება ჭიათურაში არსებულ სამთო ზედამხედველთათვის პრაქტიკულ კურსებისა; 17. ჭიათურისა და ამიერ კავკასიის გზებით შავი-ქვის გადატანის პირობათა განკარგულება და სხვა სარკინის გზო და სანავთსადგურო საქმენი; 18. ჭიათურაში სახელოსნო სასწავლებლის დაარსება; 19. ბრაზილიაში შავი-ქვის წარმოების ვითარება; 20. გზატკეცილებისა, მავთულისა და ხელოვნური დარების გამართვა ქვის ჩამოსატანად; 21. დაარსება ნაფიც მწონელთა ინსტიტუტისა; 22. მუშათა მდგომარეობის განკარგებისათვის ღონისძიებანი; 23. სასანიტარო და საბეითალო თვალყურის გდების ორგანიზაცია; 24. მადნებში მუშების დაზღვევის პირობათა შეცვლა; 25. არჩევანები: ა) საბჭოს თავმჯდომარისა; ბ) საბჭოს წევრთა; გ) საწყობებისა და ვაგონების გამანაწილებელ კომისიის წევრთა და მათის კანდიდატებისა და გ) სარევიზიო კომისიის წევრთა და მათის კანდიდატებისა.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ახალ საბჭოს პირველი სხდომა

საბჭოს დარბაზი გაჭედილია; ქანდარაზე ტევა არ არის; გაზეთების წარმომადგენელთა რიცხვი ჩვეულებრივზე ათჯერ მეტია, რადგან არა მარტო რედაქტორ-თანამშრომლები მოსულიყვნენ—თან ნაცნობ-ბიძაშვილებიც მოეყვანათ. ხმოსნები ჯგუფ-ჯგუფად მიდი-მოდიან და დაბლა ლაპარაკობენ; დიდი გახმობ-გამოხმობაა; მოუსვენარი შავი არშაკი მიძვრებ-მოძვრება; ჩვენი ბალდასაროვ-ბულდანოვიც რაღაც ამბავშია; სულ ახალგაზდა ხმოსნებს თავი მორცხვად და თავდაბლად უჭირავთ; ქართველი ხმოსნები ინტერესით ათვალიერებენ დარბაზს. რეპორტიორები ახალ ხმოსნების ვინაობას ეკითხებიან ერთმანერთს. მობრძანდა სასულიერო წოდების წარმომადგენელი ცნობილი ვასტორგოვიც. მალე სხდომა უნდა დაწყებულიყო და ხმოსნებიც ადგილების დასაჭერად გაეშურნენ. უკიდურესი მემარცხენენი, მესამე უბნელები, არშაკის მეთაურობით სულ მარცხენა მხარეზე სხდებიან; სხვა „პარტიები“ ერთმანერთში აირივნენ; სულმსუქნების პარტია თვალში აღარ გვხვდება (ვაი თუ თვალი გვატყუილებს!).

როდისთვის გნებავთ დანიშნოთ ქალაქის მოურავის არჩევანიო, შეეკითხა ძველი თავმჯდომარე ახალ საბჭოს. პატარა კამათის შემდეგ 16 დეკემბერი დანიშნეს ახალ მოურავის ასარჩევად, წინააღმდეგ ხმ. მირზოევის აზრისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ორი თვე მაინც არის საჭირო ასეთ მძიმე საქმისათვის მოსამზადებლადაო.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ ასარჩევია თავმჯდომარე ისეთ შემთხვევებისათვის, როცა ქალაქის მოურავს არ შეუძლია თავმჯდომარეობა დებულების ძალით, და საქალაქო საქმეთა საკრებულოს წევრი; თან ისიც დაუმატა, რომ კარგი იქნება საკრებულოს წევრს კანდიდატსაც ამოურჩევდეთ, რადგან ერთი წევრი შეიძლება ავად გახდეს ან სადმე წავიდეს და ასეთ შემთხვევაში ქალაქს მარტო მოურავი ჰყავს წარმომადგენლად საკრებულოშიო. ხმ. ხუდადოვის აზრით, საკრებულოს წევრის არჩევამდე, საბჭომ უნდა გამოთქვას აზრი იმის შესახებ, თუ არჩეული წევრი როგორ უნდა მოიქცეს საკრებულოში საბჭოს დადგენილებათა განხილვის დროს: ვალდებულია იგი უთუოდ დაიცვას საბჭოს დადგენილება, თუ უფლება აქვს საკუთარის აზრით იხელმძღვანელოს და ამის მიხედვით დადგენილების წინააღმდეგაც ილაპარაკოს? აქამდე ჩვენი წარმომადგენლები ხშირად მოქცეულან ასე საკრებულოშიო. შესტაკოვმა ხუდადოვის წინადადება „ახალ საგნად“ მიიჩნია და ნება არ მისცა საბჭოს განეხილა იგი. ხმ. ლისიციანი, ჭრელაშვილი და სხვ. იმ აზრის არიან, რომ საკრებულოს წევრისა და მის კანდიდატის ერთად არჩევა საფრთხილოა, რადგან ადმინისტრაცია ორივე არჩეულს კანდიდატებად მიიჩნევს და შეიძლება წევრად ისეთი დაგვიმტკიცოს, რომელიც საბჭომ კანდიდატად აირჩიაო, რის მაგალითიც არა ერთი ყოფილაო. ბალდასაროვ-ბულდანოვმა რაღაც მისებურ ლოღიკის მიხედვით ხმოსნების საარჩევანო „პოლიტიკოსობაზე“ დაიწყო ლაპარაკი და საზოგადოთ ისეთ ფქვას მოჰყვა, რომ ვერა გავიგეთ-რა. საბჭო თანახმა შეიქნა ფრთხილ ხმოსნების აზრისა და დაადგინა მხოლოდ ერთის წევრის არჩევა.

დადგა საინტერესო მომენტი. თ. ნ. ვ. არღუთინსკის რომ თავმჯდომარედ აირჩევდნენ, ეს ყველასათვის ცხადი იყო. მაგრამ საკრებულოს წევრის არჩევანის შედეგი კი საკითხი იყო. მთელ დარბაზს მოუსვენრობა ეტყობოდა; ზოგგან სანაძლეოზედაც იყო ლაპარაკი, არა ის გაიმარჯვებს და არა ისაო.

როგორც ვიცით, მსუქნების კანდიდატი ი. მ. ალიხანოვი იყო პირველად, მაგრამ, ალბად, ბოლოს შერცხვათ და დ. ნ. თუმანოვის კანდიდატურა წამოაყენეს—იურისტი კაცია და გამოსადეგი იქნება საკრებულოშიო. მემარცხენეების კანდიდატი ვ. ს. მიქელაძე იყო (არშაკმა უარი სთქვა). დღევანდელი არჩევანი ქალაქის მოურავის არჩევანის წინასწარმეტყველი იქნებაო, ამბობდნენ; პარტიების ძალა დღეს გამოირკვევაო და სხვა. თუ ეს აზრი მართალია, ვ. მიქელაძის არჩევა სულ მსუქნების დამარცხებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ჩვენ ჯერ დიდი ეჭვი გვაქვს.

არჩევნების შემდეგ სიაში მოქცეულ საქმეების განხილვას შეუდგნენ. მაგრამ არშაკ ბაბოვმა იკითხა, საბჭოს აღმასრულებელი კომისიები განაგრძობენ თავიან ფუნქციას, თუ მათი მოქმედება უნდა შეჩერდეს ახალ კომისიების არჩევნებამდეო. შესტაკოვის აზრით, კომისიების მოქმედება უნდა შეჩერდეს, თუმცა დებულების ძალით და აზრით, ამ კომისიებს ახლების არჩევამდე უნდა შერჩესთ თავიანთი ფუნქცია. კითხვა გამოურკვეველი დარჩა შემდეგ სხდომამდე, რაც ახალ საბჭოს ძალიან ცუდათ მოუვიდა—რაღა ეშველება კომისიების მიმდინარე საქმეებს, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა განხილულ იქმნენ?

ისევ სახლების დანომრვის შესახები სავალდებულო დადგენილებანი! მიუხედავათ ი. მ. ალიხანოვის, სულხანოვის და ლისიციანის გაჯიუტებისა, ამ „საქმის“ განხილვა მაინც და მაინც დიდხანს არ გაგრძელებულა. ხუდადოვმა კინაღამ საქმის გადადება გამოიწვია—ახალ ხმოსნებს „მოხსენება“ არა გვაქვს ხელთო.

განიხილეს ამისთვის სტიპენდიების (სახელოსნო სასწავლებელში) დებულების პროექტი და მიიღეს იგი; გადასდეს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე იმ თხოვნების განხილვა, რომელნიც შემწეობის აღმოჩენას შეეხებიან, ორი თუ სამი წვრილმანი საქმე კიდევ გაათავეს და სხდომაც დაიხურა.

—

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ახალმა საბჭომ მოახდინა, გამოურკვეველია; ის კი ცხადია, რომ საბჭოს სხდომები უფრო საინტერესონი იქნებიან ახალ პირების გამო. რაც შეეხება საქმიანობას, ამას, რასაკვირველია, მომავალი გვიჩვენებს.

ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კანდიდატებად ისევ კ. მ. ალიხანოვს და ა. არღუთინსკის ასახელებენ დარწმუნებით. 16 დეკემბერი შორს არ არის.

პატარა დღიური

არც ბათუმის ქართველობა ჩამორჩა ტფილისას. ორივემ საგანგებოდ ისახელა თავი ხმოსანთა არჩევნების დროს: ტფილისელი ქართველი ამომრჩეველნი სულ არ გამოცხადდნენ, სამაგიეროდ ბათუმელებმა in corpore მოიყარეს თავი, რათა ერთმანეთისათვის შავი კენჭები ჩაეყარათ და ამით მტერი გაეხარებინათ. თქვენის ბედნიერის თვალითა ჰხედავთ, რომ უკუღმართობაში ბათუმმა ბევრად გაუსწრო დედა-ქალაქს. როგორც სჩანს, ბათუმელებს საქართველოს ძველი დრო გაჰხსენებიათ, როდესაც ძმა-ძმას არ ინდობდა, მამა—შვილსა და შვილი კიდევ მამას. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ უწინ უკმაყოფილონი და მოძღურავნი სპარსეთ-ოსმალეთისაკენ გარბოდნენ, ეხლა კი ასეთი ვაჟბატონები პალმისა და იმის დამქაშებისაგან მოელიან შველას. კერძოდ მე ისევ სპარსეთ-ოსმალეთის თავ-დასხმას გამჯობინებ ბ-ნ პალმთან საქმის დაჭერას.

—

როგორც იქმნა, მოვესწარით ტფილისის „ახალ მამების“ პირველ კრებას. დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. დინჯად და წყნარად შემოდიოდნენ ხმოსნები და თავიანთ ადგილებს იჭერდნენ. იქცეოდნენ სწორედ ისე, როგორც დარბაისელ „მამებს“ შეჰფერის. ერთის სიტყვით, დასაწყისი კარგი იყო, ხოლო გაგრძელება და დასასრული როგორი იქმნება, ერთმა ალაჰმა უწყის მხოლოდ. მართალია, ზოგიერთები წინასწარმეტყველობენ, რომ არაფრისაგან არაფრის მეტი სხვა არა გამოვა-რაო; მაგრამ მე პესიმისტი არ გახლავართ და, თუ გნებავთ, მჯერა კიდეც, რომ ჩვენ „დიდებულთა კრებულს“ სასახელო რამის გაკეთება შეუძლიან. სხვა არა იყოს-რა, ბაქი-ბუქი, ქარის ტეხა და დონ-კიხოტობა დიდი იქმნება და ეს კი ამ „სკუჩნაობის“ დროს ჩვენის მანდილოსნებისათვის დიდი განძია. ნუ დაივიწყებთ, რომ უზარ-მაზარს ტფილისში საბჭოს დარბაზი ერთად-ერთი საზოგადო გასართობია, ყველასათვის ხელ-მისაწვდომი და უსასყიდლო...

ამ პირველ კრებას არავითარი დასიანობა და „მემარჯვენე-მემარცხენეობა“ არ ეტყობოდა. ხმოსნები ერთმანეთში აირივნენ, ახალგაზდა ხნიერს მოუჯდა გვერდით, ძველი ახალს და ჩინიანი უჩინოს...

—

ამ ბოლოს დროს ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებიც ახმაურდნენ. ლამის თვით საბჭოსაც აჯობონ. რწმუნებულთა კრებას ეხლა საკუთარი ბაბოვები, ხუდადოვები და ალიხანოვები ჰყავს. ასეთები არიან დანდუროვი, გადასახადების ამკრები ხოსროევი, ადამიძე, ტარიელოვი, მახარობლიძე და სხვანი. ისე ჰქუხან და სჭექენ ეს ორატორები, რომ დარბაზს სულ ზანზარი გააქვს ხოლმე. ეს არის მხოლოდ, რომ მოქალაქეთა რწმუნებულნი უფრო მდაბიურის ენით ლაპარაკობენ, ვიდრე ხმოსანნი. რწმუნებულთა კრებაზე ხშირად გაიგონებთ, მაგალითად, ამ გვარ სიტყვებს: „ჟესტ“, „ძაღლო“, „გოჭო“, „უსინდისო“ და სხვა. მაგრამ რწმუნებულთ ერთი სხვა ღირსებაცა აქვთ, რომელსაც ხმოსანთა შორის დღისით დიოგენის ფარნითაც ვერ აღმოაჩენთ: რწმუნებულებმა მიკიბ-მოკიბვა არ იციან, ისინი ყველაფერს თავის საკუთარ სახელით იხსენიებენ. აი, მაგალითად, ამას წინად, ხოსროევმა მთელ დარბაზში პირდაპირ უთხრა მოქალაქეთა გამგეობის მდივანს ბ-ნ ჟილიაევს, შენ მოქრთამე ხარო. მახარობლიძემ კიდევ ასეთი სიტყვები ჩასწერა ერთს თავის მოხსენებაში: „ლაჭირთა კრებამ უურადღება მიაქციოს ხარჯის ამკრებს ხოსროევს და მამასახლის ბუღდანოვს. ბუღდანოვი სამსახურში როგორც სტუმარი, ისე დადის. ამით სარგებლობს ხოსროევი, იგი დამჯდარა გამგეობაში და აწიოკებს მთხოვნელებსაო“. მეორე რწმუნებულმა ტარიელოვმა სთქვა, რომ „ხალხი დრტვინავს ხოსროევის არა სასიამოვნო საქციელის გამოო“. იმავე რწმუნებულის სიტყვით, ხოსროევმა საქმისათვის მისულ მუშას მუშტი მოუღერა თურმე და უთხრა: დამეკარგე, მე შენ გიჩვენებ ცნობების მიცემასაო, და შემდეგ მუშტის კვრითაც გააგდო.

აი, ასე იქცევიან მოქალაქეთა მოხელენი და წარმომადგენელნი. სრულიად სამართლიანად უთხრა დანდუროვმა კრებას ეს სიტყვები: „რწმუნებულთა საზოგადო კრებას ის-და დარჩენია, რომ ხან ამაზე და ხან იმაზე იმასლაათოს. სირცხვილი არ არის? განა საზოგადოებამ ამისათვის ამოგვირჩია!“...

ვიმეორებთ, რომ ქალაქის საბჭოში ასეთ პირდაპირობას და გულ-ახდილობას ვერა ვჰნახავთ. ამას წინად საბჭომ მთელი საღამო მოანდომა სულ უმნიშვნელო საქმესა და არც ერთი ხმოსანი არ აღმოჩნდა დანდუროვისთანა გულადი, რომ საბჭოსათვის მიემართა და ეთქვა: „სირცხვილი არ არის ამდენი უსარგებლო დაყბობა და ყბედობა! განა იმიტომ ამოგვირჩიეს, რომ სწავლა-განათლების საქმის მოწყობისა, ქალაქის განათებისა, ქუჩების მოკირწყვლისა და სხვა სასარგებლო საქმეების ნაცვლად ვისხდეთ და მთელი საღამოები რაღაც „პლაკატებზე“ ლაპარაკს მოვანდომოთ?...“

Spectator

დაბა-სოფლები

შაშიანი (კახეთი). 14 ნოემბერს, ღამის ორ საათზე, როდესაც მთელი სოფელი ღრმა ძილში იყო, სამარისებური სიჩუმე დაარღვია ეკკლესიის ზარის რეკამ. ყველას ეგონა ცეცხლი გაუჩნდა ვისმეო, და გაეშურნენ გზისკენ, რათა მალე მიჰშველებოდნენ, მაგრამ ცეცხლის ნაცვლად მოესმათ ყვირილი, ურია მოჰკლეს, ურიაო! ბევრი უკან დაბრუნდა, ზოგნი-კი, ცნობის მოყვარენი, გაემართნენ ურიის სადგომისაკენ. კახეთში ებრაელები ფეხზე ვაჭრობენ, ე. ი. ცხენებით ან ზურგით ატარებენ საქონელს—ფართლეულობას სოფლის უბან-უბან. ერთმა, უფრო შეძლებულმა, ცხინვალელმა ებრაელმა ელიკო კრიხელმა გაალო ამ სოფელში დუქანი, დაიწყო ვაჭრობა ფარჩეულობით და წვრილი საქონლით და საქმეც კარგად წაიყვანა. სწორედ ამ კრიხელს ეწვივნენ ამ ღამეს დაუპატიჟებელი სტუმრები. შუა ღამისას დაეწყოთ დუქნის კლიტის რახუნი, ებრაელს,

რომელსაც ცოლ-შვილით მეორე ოთახში სძინებია, მუშტარი ჰგონებია, რისთვისაც თავის შვილისთვის კარები გაუღებინებია. ამ დროს შემოცვივნულან ცხრანი ხანჯლებით ხელში; ერთი მათგანი თვით მწოლიარე ებრაელს დასწოლოდა და ხანჯალი გულზე დაებჯინა. კრიხელს ხელი ხანჯლისათვის მოუვლია და წამოუწყია. მაგრამ ახლა სხვები მიშველებოდნენ, ლოგინში დაუკავებინათ და მუცელში ხანჯალი წაუკრათ. იმისი ცოლისთვის ებრძანებინათ, ჩქარა გვაჩვენე, რაც რამ გაბადია, თორემ ეხლავე დაგხოცავთო. შეშინებულ დედა-კაცს რაც კი მოუპოვებოდა, უჩვენებია. ძარცვის დროს თან თურმე ემუქრებოდნენ, ხმა არ ამოიღოთ, ჩვენ თათრები ვართო. ბოროტ-მოქმედთ ყველაფერი წაეღოთ, რაც კი მოუხვდებინათ: ოცი თუმანი ფულად, სამი ვერცხლის ქამარი, ერთი ვერცხლის საათი და საქონელი, რომელიც, როგორც შემდეგ იანგარიშეს, 50 თუმნისა ყოფილიყო. გაძარცვის შემდეგ სამნი ისევ იქ დარჩენილიყვნენ, რათა დროით არ შეეტყობინებინათ მეზობლებისათვის და არ მოსწევნოდნენ, ხოლო როცა გდროვათ, ეხლა კი დაბინავებული იქნება ნადავლით, არხეინად გასდგომოდნენ გზას. ქალს ნაცემ ოჯახობას მაშინვე შეეტყობინებინა მეზობლებისათვის და დაეწყოთ ზარის რეკა.

დაჭრილი კრიხელი სისხლით მოსვრილ ლოგინში იწვა. მოასულიერეს და დაუწყეს გამოკითხვა. თუმცა ბოროტ-მოქმედთ თავები ყაბალახებით ჰქონდათ შეხვეული, მაგრამ ერთი მათგანი მაინც უცვნია, იგი დაასახელა კიდეც: ამავე სოფლის მცხოვრები, ჯარიდან დრობით დათხოვნილი მწარიშვილი ყოფილა. როდესაც ეს კაცი მიიყვანეს დაჭრილთან, იცნო, სწორედ ეგ იყოო სთქვა. გაუსინჯეს სახლი, სადაც ტახტ ქვეშ დამალული 8 თუმანი უპოვეს, ამას გარდა ხანჯალი და ფარაჯა გასისხლიანებული ჰქონდა. მწარიშვილი დააპატიმრეს.

დიმიტრაშვილი

სასამართლო

I

სიყალბე

ორშაბათს, 18 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფილისის მოქალაქის მიხეილ დავითიანცისა, რომელსაც საბუთის ქაღალდის მოსპობა ჰბრალდებოდა. საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის გამგის თანაშემწეს დავით დავითაშვილს ტფილისში სადგომი დაუქირავებია მიხეილ დავითიანცისგან იმ პირობით, რომ სახლის პატრონს დაქირავებული სადგომი უნდა მოეწყო. ხელ-შეკრულობის ძალით დავითიანცს, თუ პირობას არ შეასრულებდა, 100 მ. უნდა გადაეხადნა. კარგა ხანი გასულა, მაგრამ დავითიანცს პირობა არ შეუსრულებია. დავითაშვილს სასამართლოსათვის ჯარიმის გადასახდევინებლად არ მიუმართავს. ერთ დღეს სახლის პატრონი მიუწვევია თავის ბინაზე სახლის ქირის მისაცემად და, სხვათა შორის, საყვედური გამოუცხადებია, რატომ დაპირებისამებრ ბინა არ მოაწყო. დავითაშვილს ლაპარაკის დროს სტოლზე დაუდვია როგორც ხელ-შეკრულობის ქაღალდი, ისე სხვა საბუთებიც. შემთხვევით სტოლიდან კადაჭვარდნია რაღაც ქაღალდი და როცა ასაღებად დაუწყვია, დავითიანცს აუღია კალამი და ხელ-შეკრულობაში ჯარიმის შესახები მუხლი წაუშლია. როცა ეს შეუნიშნავს დავითაშვილს, მოსამსახურე გაუგზავნია პოლიციელის მოსაყვანად. დავითიანცს ხალხის თვალების ასახვევად დაუწყია ყვირილი, მიშველეთ, მცემენო, და წასვლა დაუპირებია. ამ დროს პოლიციელიც მოსულა, ოქმი შეუდგენია და დავითიანცი პასუხის გებაში მიუცია. მოსამართლეს საქმე გამოსაძიებლად გადაუცია და დავითიანცი საქმის გამოძიების შემდეგ ოლქის სასამართლოს პასუხის გებაში მიუციათ, როგორც წინასწარ განზრახვით საბუთის ქაღალდის მომსპობელი. ოლქის სასამართლომ, გაარჩია რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო მიხეილ დავითიანცი და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და 4 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

ქურდის მოკვლა

ტფილისის მე-10 ნაწილში, კოცირიძის დუქანში, ამ რამდენისამე თვის წინად ქეიფობდნენ თურმე ალექსანდრე გრიგორაშვილი და იმისი 7 ამხანაგი. იქვე ყოფილა ტფილისის მოქალაქე ბედელაძე. რაღაც მიზეზისა გამო ბედელაძესა და გრიგორაშვილს ჩხუბი მოსვლიათ. გრიგორაშვილს მიეშველებიან ამხანაგები და ყველანი მიესევიან საცემად ბედელაძეს, რომელიც გამოჰხსლტომია ხელიდან იმათ, შევარდნილა იქვე დუქნის ოთახში და კარი გამოუკეტია. შემდეგ ბედელაძეს ქუჩისკენ გასასვლელი კარები გაუღია და გაქცეულა. ალ. გრიგორაშვილს ამ დროს სამჯერ შეუთვლია თავის ძმის კონსტანტინე გრიგორაშვილისათვის, დუქანში ჩხუბია, ამიტეხეს, მკლავენ და მომეშველეო. კონსტანტინე გრიგორაშვილს აუღია თურმე თოფი და მოჰშველებია ძმას. ამ დროს იქვე ქუჩაში უჩვენებიათ ბედელაძეზე, ეს არის შენი ძმის გამლახველიო. გრიგორაშვილს ბედელაძისათვის უსროლია თოფი და იქვე ქუჩაში მოუკლავს. გრიგორაშვილის საქმე გაარჩია ტფილისის ოლქის სასამართლომ გუშინწინ, 18 ნოემბერს. ბრალდებულმა სთქვა, რომ ქურდები მოგვიცვივდნენ სახლში, ერთს მათგანს გამოვეკიდე და როცა შევატყე, თოთონაც რაღაცას მიპირებდა, ვესროლე თოფი და მოვკალიო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კონსტ. გრიგორაშვილი და გადაუწყვიტა ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში სამის წლით გაგზავნა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ნოემბერი

ლაზოვაია. ლაზოვაიასა და სინელნიკოვოს სადგურებს შუა წყალი აღარ აქვთ. სამი დღეა საქონლის მატარებლები აღარ დადიან და სადგურები გაჭედილია ვაგონებითა და საქონლით. ლაზოვაიას სადგურზე ოროთასამდე დატვირთული ვაგონია თავ-მოყრილი და დასატვირთავია ხორბლით ოთხასი ვაგონი. გზას დიდი ზარალი მოსდის.

კონსტანტინეპოლი. გერმანიის ელჩმა აუდიენციაზე ურჩია ხონთქარს, მაკედონიის მმართველობა გააუმჯობესეთო.

ბანგკოკი. გაზ. „ტაიმს“-ი იუწყება, რომ შანაში აჯანყებულთაგან 500 კაცს მეკონგი გაუვლია და ფრანგებს დაჰნებებიან.

ბომბეი. ნეჯდის სახონთქროში, სპარსეთის სრუტეს ნაპირებზე, არეულობა მოხდა. ნეჯდის ემირი ვაგაბიტებს თავს დაეცა და ქალაქ ერლიადს ალყა შემოარტყა.

19 ნოემბერი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნ“-ში დაბეჭდილია: „23 ოქტომბრიდან შავის ჭირით ავად აღარავინ გამხდარა. ოდესიდან გასულ გემების დათვალიერება მკურნალების მიერ სხვა სადგურებში გააუქმეს. გააუქმეს აგრეთვე სანიტარული ზედამხედველობა ოდესისა და რაზდელნიას სადგურებზე; მკურნალები გემებს სინჯავენ მხოლოდ ოდესიდან გასვლის დროს“.—ნება დართულ იქმნა შემოწირულება შეაგროვონ ფინლანდიაში მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ. —გაუწყებთ მცირეოდენის შემოკლებით მთავრობის შემდეგს ცნობას: 4 ნოემბერს დონის როსტოვში კავკავის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა, რიცხვით 3.000 კაცმა, მუშაობა აღკვეთეს; ამასთან გზის უფროსს მოსთხოვეს სამუშაო დროს შემცირება, სასყიდლის მომატება და ზოგიერთ ხელოსანთა დათხოვნა; განაცხადეს აგრეთვე, რომ ვიდრე ჩვენს მოთხოვნილებას არ შეასრულებთ, არ ვიმუშავებთო. პირველ ხანს მუშებს თავი კარგად ეჭირათ, ამიტომ არავითარი ზომა იმათ წინააღმდეგ არ მიუღიათ. 7 ნოემბერს გაფიცულ მუშებს გამოეცხადათ გზათა მინისტრის განკარგულება, რომ იმათი მოთხოვნილებანი განუხილველი დარჩა, რადგანაც მუშებმა ნებაყოფლობით დაანებეს თავი მუშაობას და კანონის გზას არ მიჰმართეს თავიანთ უფლებათა დასაცველად. მუშები მიიწვიეს ჯამაგირის მისაცემად, ამასთან გამოუცხადეს სხვაგან ეძიონ სამუშაო. გაფიცვის დაწყებისას შეამჩნიეს, რომ მუშებს დაბეჭდილი პროკლამაციები ჰქონდათ; პროკლამაციები ხელ-მოწერილი იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა დონის კომიტეტის მიერ; პროკლამაციაში აღნიშნული იყო ზემოხსენებული მოთხოვნილებანი, იგი გასაფიცავად იწვევდა მუშებს. შემდეგში პროკლამაციები უფრო გავრცელდა და მუშათა მოძრაობამაც ზოგიერთ მახლობელ ქარხნებშიაც იჩინა თავი. 8 ნოემბერს დააპატიმრეს 5 კაცი, მოთავე და წამქეზებელი; ამათ მოწოდებებიც ჰქონდათ თან. 9—10 ნოემბერს ყრილობები მოხდა. 11 ნოემბერს რკინის გზის მთავრობამ ვადა დაუნიშნა გაფიცულთ: მსურველნი უნდა შესდგომოდნენ მუშაობას, ხოლო დანარჩენთ ანგარიში მიეღოთ. ამ დღეს დააპატიმრეს 7 მუშა აგიტატორი, რათა ყრილობისთვის ხელი შეეშალათ; დააყენეს აგრეთვე 100 ყაზახი, მაგრამ 11 ნოემბერს მუშებმა მაინც იწყეს თავის მოყრა; ისინი არ ასრულებდნენ პოლიციის მოთხოვნილებას და არ იშლებოდნენ. ცხენოსანმა ყაზახებმა ოთხჯერ მაინც შეეცადნენ გაფიცულთა მათრახებით გაფანტვას, ამავე დროს ქვეითა ყაზახები თოფის კონდახებს ჰხმარობდნენ მუშების წინააღმდეგ. მუშებმა ქვები დაუშინეს, ამასთანავე ერთი აფიცერი დაშავდა, 9 ყაზახი დაიჭრა,—ამათში ორი მძიმედ, პოლიციის მოხელეს ბრბომ თავი გაუტეხა. მუშები დასცინოდნენ ჯარს. ჯარის უფროსმა გააფრთხილა—იძულებულნი ვიქნებით გესროლოთო.—როდესაც მუშები, რომელნიც ქვებს ისროდნენ, წრეს გადავიდნენ, ჯარს ებრძანა სასროლად მომზადება—37-ჯერ გაისროლეს; ბრბო გაიქცა; 2 მოჰკლეს, 19 დასჭრეს, ამათგან 2 მოჰკვდა. ამ გაფიცვამ იმ სახელოსნოებშიაც იჩინა თავი, რომელნიც სადგურ ტიხორეცკაიას მახლობლადაა. 15 ნოემბერს აღკვეთეს მუშაობა და ყრილობა მოახდინეს. ბრბომ, რომელსაც როსტოვიდან მოსული მეთაურნი აქეზებდნენ, იგივე მოითხოვა, რაც როსტოველმა მუშებმა. 16 ნოემბერს უბნის ოლქის უფროსმა გამოუცხადა გაფიცულთ, ყრილობა აკრძალული გაქვთ; მაგრამ 17 ნოემბერს 1000 მუშა მაინც შეიკრიბა. ესენი არ დაიშალნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ არც დარიგებას და არც ბრძანებას, ქვებს ესროდნენ ჯარს და 12 ყაზახი დასჭრეს კიდეც. აფიცერს ნაჯახით ხელი გადაუჩეხეს; ჯარის უფროსმა, რაკი ვეღარა გაეწყო-რა, ჯერ ხმალს მიჰმართა, მერე თოფს. ბრბო გაიფანტა. 2 კაცი მოჰკლეს, 7 მძიმედ დასჭრეს, ხოლო 12—მსუბუქად; 102 მუშა შეიპყრეს. გამოძიებაა გაფიცვის მიზეზების გამოსაკვლევად.

ათინა. სამინისტრომ თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

პეშავერი. ვაზირების წინააღმდეგ გაგზავნილმა ინგლისის რაზმმა შეიპყრო კოცუ. რაზმი კაკატში დაბრუნდა.

მოსკოვი. საგუბერნიო ერობის ხარჯი სწავლა-განათლებისათვის ნავარაუდევია 323,486 მან.

პარიზი. დელკასე მოვიდა.

ციურიხი. მენელიკის მინისტრი აბაშეთს წავიდა; იქვე წავიდა ზოგიერთი პარიზელი და ბრიუსელელი ფინანსისტი. ესენი დაინტერესებულნი არიან ჯიბუტ-ადის-აბების რკინის გზის გაყვანის საქმეში.

იოკაჰამა. კორეის კაბინეტი თანამდებობიდან გადადგა. ხალხი აღელვებულია სამეფო კარის წინააღმდეგ.

ბარერო. მთავრობამ გამოჰგზავნა ქარავანი და ის სურსათი, რაც პოლკოვნიკ სვეინს შეტაკების დროს წაართვა. გოგოტოლში ბომბეის გრენადერთა როტა და სიკხების რაზმია და ამათ მუდამ მოწინავე ჯართან სროლა ჰქონდათ.

ადენი. სამხედრო მთავრობის აზრით, გაიარა მოხერხებულმა დრომ სომალებთან საბრძოლველად. აგვისტომდე სამხედრო სადგურების გამართვის მეტი არაფერი მოხერხდება.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხირურგიის, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—57)

ყოველგვარ
ხეხილის ნერგები
საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად, ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.
ადრესი უბრალო წერილებისათვის: „სკრა“, კავკასიის რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორი, ფარს. იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები გაეგზავნებათ მსურველთ უფასოდ. (6—6)

Открыта подписка
НА ЕЖЕДНЕВНУЮ (не исключая понедѣльниковъ) **ГАЗЕТУ** политической и общественной жизни и литературы
„Бакинскія Извѣстія“.
Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства: Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная, общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печаты; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.
ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города на годъ 7 руб., на 6 мѣсяцевъ—4 руб., на 3 мѣсяца—2 руб. и на одинъ мѣсяцъ—1 руб. Подписчики на 1903 г. получаютъ газету 1902 г. со дня подписки безплатно.
ТАКСА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныя объявленія по соглашенію.
Редакція и контора: Баку, пассажъ Шагиданова.
Редакторъ-издатель **Н. А. Гриневъ.** (Ъ. 3—2)

Открыта подписка на 1903 годъ
(двадцать четвертый годъ изданія)
НА ЕЖЕМѢСЯЧНОЕ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКОЕ ИЗДАНІЕ
РУССКАЯ МЫСЛЬ
Вышла Ноябрьская (одиннадцатая) книга
СОДЕРЖАНІЕ: 1) Изъ воспоминаній помѣщика—охотника. VII. Васька Лащманъ.—Н. Василича. 2) Свадебное блюдо. Разсказъ Уйда. Пер. съ англ.—С. А. М. 3) Маленькія фантазіи. I. Лунный свѣтъ. II. Скрипачъ. III. Арфа.—Анатолія Анютина. 4) Спрутъ. Калифорнскій романъ. Франка Норриса. Пер. съ англ.—А. Г. Окончаніе. 5) Стихотвореніе—В. Н. Ладыженскаго. 6) Колесо счастія. Разсказъ автора „Молли Баунъ“. Пер. С. А. М. 7) Быть или не быть? Повѣсть.—Н. И. Тимковскаго. 8) Изъ лѣтописи голоднаго года. I. Съ хорошимъ хлѣбомъ. II. Антихристова помощь.—Василія Якимова. 9) Русскіе писатели въ ихъ переепискѣ. Герценъ и Огоревъ. 10) Идея о прошедшемъ и будущемъ золотомъ вѣкѣ человѣчества.—О. Ѳ. Бавинеръ. 11) Чикаго. (Изъ путешествія по Америкѣ).—А. А. Черевковой. 12) Соединенные штаты Европы.—Гр. Л. А. Камаровскаго. Окончаніе. 13) Музыкальная экскурсія судосевцевъ—В. С. Сѣровой. 14) Воспоминанія писателей-самородкоъ о ихъ старшихъ собратьяхъ.—А. И. Яцимискаго. 15) Развитіе общечеловѣческой солидарности.—И. Х. Озерова. 16) Муниципализація торговли хлебомъ.—В. Ѳ. Тотоміанца. 17) Механизмъ и витализмъ. Рѣчь О. Бючли.—Пер. Вл. Буткевича. 18) Общія основанія санитарной организаціи въ большихъ городахъ.—В. Ѳ. Ставровскаго. XIX) Мнимый кризисъ дарвинизма.—М. А. Мензбира. 20) Современное искуство. 21) Иностранное обозрѣніе.—В. А. Г. 22) Внутреннее обозрѣніе. 23) Библіографическій отдѣлъ. 24) объявленія.

Подп. цѣна съ доставкою и пересылкою во всѣ мѣста Россіи:	12 м.	9 м.	6 м.	3 м.	1 м.
	12 р.	9 р.	6 р.	3 р.	1 р.
За границу	14 р.	10 р. 50 к.	7 р.	3 р. 50 к.	1 р. 25 к.

Допускается разсрочка: при подпискѣ, 1 апрѣля, 1 іюля, 1 октября по 3 рубля—при непосредственномъ обращеніи въ контору или ея отдѣленія.
Цѣна отдѣльнаго номера съ пересылкой 1 руб. 30 коп. Книгопродавцамъ дѣлается уступка въ размѣрѣ 50 коп. съ полнаго годоваго экземпляра. Подписка въ разсрочку отъ книгопродавцевъ не принимается.
ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:
ВЪ МОСКВѢ: въ конторѣ журнала—Ваганьковскій пер., д. Аплаксиной. ВЪ ПЕТЕРБУРГѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова; ВЪ КІЕВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. Я. Оглоблина. ВЪ ВАРШАВѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ВИЛЬНѢ: въ книжномъ магазинѣ Н. П. Карбасникова. ВЪ ПЕРМИ: въ земскомъ центральномъ книжномъ складѣ.
При к—рѣ редакціи журнала «Русская Мысль» находится складъ изданій.
Редакторъ-Издатель В. М. Лавровъ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 Ноября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)